www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

2017

III კვარტალი

(წინასწარი)

11.12.2017

www.geostat.ge

11.12.2017

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2017 წლის III კვარტალი

(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2017 წლის III კვარტალში 594.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2016 წლის III კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებზე 17.6 პროცენტით მეტია. მიმდინარე წლის I-III კვარტალში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ჯამურად 1 346.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 2.9 პროცენტით მეტია.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2015-2017 წლებში კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2015-2017* წწ.

(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში

(ათასი აშშ დოლარი)

წელი	I	II	III	IV	**სულ**
2006	145 203.5	316 930.3	332 432.4	375 511.2	**1 170 077.4**
2007	328 417.8	366 532.8	468 921.8	586 370.2	**1 750 242.6**
2008	536 827.2	605 354.4	134 934.4	287 195.2	**1 564 311.1**
2009	113 258.0	177 078.7	173 742.1	194 816.2	**658 895.0**
2010	167 328.0	209 050.3	226 291.9	211 167.3	**813 837.5**
2011	209 720.0	248 335.4	288 189.9	301 987.8	**1 048 233.2**
2012	260 549.2	217 650.3	199 055.3	234 030.9	**911 285.7**
2013	252 195.3	208 842.7	254 849.2	234 029.8	**949 917.0**
2014	312 558.6	191 162.9	729 351.6	529 968.4	**1 763 041.4**
2015	294 604.3	465 562.2	485 985.6	329 814.6	**1 575 966.7**
2016	393 955.9	408 603.2	505 459.9	275 764.5	**1 583 783.6**
2017*	404 512.9	347 517.0	594 452.3	-	**1 346 482.1**

*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №2.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით 2015-2017 წწ. I-III კვ-ში

(მლნ. აშშ დოლარი)

	2015				2016				2017*		
	I	II	III	IV	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ
სულ	**294.6**	**465.6**	**486.0**	**329.8**	**394.0**	**408.6**	**505.5**	**275.8**	**404.5**	**347.5**	**594.5**
მათ შორის:											
სააქციო კაპიტალი	230.8	333.2	289.1	369.9	1 010.9	269.2	255.6	300.1	150.5	279.1	315.7
რეინვესტიცია^	47.2	57.1	114.9	-61.5	19.8	86.3	212.7	-15.4	201.9	153.7	235.9
სავალო ვალდებულებები^^	16.6	75.2	82.0	21.4	-636.7	53.1	37.2	-9.0	52.1	-85.2	42.9

*წინასწარი მონაცემები.

**2016 წლის I კვარტალში ადგილი ჰქონდა სესხის კაპიტალიზაციას. აღნიშნული ოპერაცია თანაბრად არის ასახული სავალო ვალდებულებების შემცირების და სააქციო კაპიტალის ზრდის მიმართულებით.

^ რეინვესტიცია - სხვაობა მოგება-ზარალსა და დივიდენდებს შორის.

^^ სავალო ვალდებულებებში აისახება სავაჭრო კრედიტები და სესხები.

ცხრილი №3. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2017 წლის III კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2015				2016				2017*		
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III
სულ	**294.6**	**465.6**	**486.0**	**329.8**	**394.0**	**408.6**	**505.5**	**275.8**	**404.5**	**347.5**	**594.5**
მათ შორის:											
აზერბაიჯანი	57.3	160.6	177.7	154.0	134.3	147.2	144.9	131.6	97.3	126.9	154.1
თურქეთი	28.7	40.3	40.5	-36.9	42.8	8.5	91.6	60.7	81.5	39.1	138.6
გაერთიანებული სამეფო	45.1	128.1	38.9	173.9	41.8	56.5	23.7	-3.2	80.1	31.5	63.4
ნიდერლანდები	61.3	63.4	60.1	-29.5	10.0	12.9	-2.1	74.0	22.0	49.4	61.9
აშშ	7.9	-3.2	-5.6	19.3	11.0	14.4	19.2	9.0	15.7	13.5	23.4
ჩეხეთი	2.7	0.2	13.9	-0.1	2.4	37.1	26.1	-1.5	-10.8	21.4	23.2
ჩინეთი	6.2	7.2	12.2	41.4	-2.6	1.4	25.7	1.9	6.6	10.5	18.4
რუსეთი	21.5	3.9	10.2	10.7	4.4	3.0	7.0	14.6	4.8	-2.3	15.2
კორეა	0.2	0.1	29.6	0.0	32.1	-0.4	-0.3	-1.7	-1.5	-1.3	15.2
დანარჩენი ქვეყნები	63.6	65.0	108.5	-2.9	117.8	128.0	169.7	-9.6	108.9	58.8	81.1

*წინასწარი მონაცემები.

2017 წლის III კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სტრუქტურული დიაგრამა №2, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 25.9 პროცენტით, მეორე ადგილზე - თურქეთი 23.3 პროცენტით, ხოლო მესამე ადგილზე გაერთიანებული სამეფო - 10.7 პროცენტით.

დიაგრამა №2.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2017* წლის III კვარტალში (%)



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2017 წლის III კვარტალის მიხედვით ეკონომიკის სექტორების ჭრილში მოცემულია ცხრილში №4:

ცხრილი №4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015-2017 წწ. I-III კვ-ში
(მლნ. აშშ დოლარი)

	2015				2016				2017*		
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III
სულ	**294.6**	**465.6**	**486.0**	**329.8**	**394.0**	**408.6**	**505.5**	**275.8**	**404.5**	**347.5**	**594.5**
მათ შორის:											
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	158.2	207.4	199.6	19.5	214.9	174.0	205.6	77.3	141.2	128.8	177.8
მშენებლობა	17.8	11.0	58.4	23.5	3.0	13.8	62.6	50.2	55.0	70.1	116.2
ენერგეტიკა	33.3	32.4	68.1	-10.0	32.3	42.8	41.2	1.0	6.6	19.5	72.3
საფინანსო სექტორი	-2.5	54.7	71.4	66.5	59.9	60.2	55.7	-26.7	80.9	4.1	71.5
დამამუშავებელი მრეწველობა	7.0	29.5	17.0	13.7	10.6	17.2	67.3	29.4	-5.4	12.3	39.3
სასტუმროები და რესტორნები	18.8	8.8	5.9	105.3	7.2	-0.1	12.4	32.9	15.9	29.5	30.1
უძრავი ქონება	20.4	19.5	12.3	37.8	42.0	3.3	23.9	42.2	79.8	16.6	20.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა	40.8	22.9	13.8	10.5	9.9	18.4	11.8	8.9	11.6	13.8	13.8
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	-1.4	2.4	6.8	6.8	2.2	-0.5	1.9	4.4	-0.2	3.9	5.4
დანარჩენი სექტორები	2.2	77.1	32.7	56.4	12.1	79.4	23.0	56.3	19.1	48.9	47.6

*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2017 წლის III კვარტალში 61.6 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 177.8 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 29.9 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობის სექტორი 116.2 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ენერგეტიკის სექტორი 72.3 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2017 წლის III კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაზე №3:

დიაგრამა №3.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2017* წლის III კვარტალში (%)



*წინასწარი მონაცემები.

<u>წყარო:</u>

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა "საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ");
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

<u>შენიშვნა:</u> ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

<u>განმარტება:</u> ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

<u>გამოყენებული პირობითი აღნიშვნა:</u>

0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა.

წინასწარი მონაცემების კორექტირება ხორციელდება საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე) რესპონდენტების/ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად.

2017 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2018 წლის 15 აგვისტოს.

საინფორმაციო ფურცელი

შესრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2016 წლის ნოემბერში ვიზიტის დროს წარმოდგენილი რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემთა ხანგრძლივი დინამიკური მწკრივის გადასინჯვას, აუცილებელი ცვლილებების განსაზღვრას და საქსტატის და ეროვნული ბანკის მიერ წარმოებულ მონაცემებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნული ცვლილებები შეეხო 2002-2016 წლების მონაცემებს.

აქვე გაცნობებთ, რომ 2018 წლის მარტში იგეგმება მორიგი რეკომენდაციის შესრულება, კერძოდ, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიციის მონაცემების წარმოება ინტეგრირებული ფორმატით (საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეიბის სტატისტიკის შესაბამისად, რომელიც ნაკადებთან ერთად ითვალისწინებს ნაშთების ასახვასაც), რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ გამოიწვევს მონაცემთა მწკრივების გადასინჯვისა და დაზუსტების აუცილებლობას.

საკონტაქტო პირი: ლია ძებისაური, ტელ.: (+995 32)36 72 10 (300). E-mail: ldzebisauri@geostat.geinfo@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge